ტყიბულის მუნიციპალიტეტის **მერის**

ბრძანება

N 47 871
27/04/2018

871-47-4-201804271000

ს.ს.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის ძველი შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ვადის გაგრძელების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის დირექტორის წერილი. სადაც აღნიშნულია, რომ ვერ მოესწრო დემონტაჟის სამუშაოების დასრულება და ითხოვს ვადის გაგრძელებას.

საქართველო მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" თავი XI 57-ე მუხლის შესაბამისად ობიექტი ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუგრძელდეს დემონტაჟის ვადა ს.ს.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხიის საჯარო სკოლის ძველ შენობა-ნაგებობებს.
2. დემონტაჟის დასრულების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 აგვისტო.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს ზ.ზოსიაშვილს.
4. ბრძანების გალს).საჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი